

## სკოპინგის დასკვნა N 33

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაცია;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „ნოვა ფიქსი“ (ს/კ 445610385);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. N188;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 12.04.2024;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „ნოვა ფიქსი“.

### ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ნოვა ფიქსი“, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ქ. თბილისში, პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის განცხადება.

2023 წლის 24 ოქტომბერს შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N 580/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ნოვა ფიქსის“ პლასტიკური მასალის საწარმო ობიექტისა (ნარჩენების აღდგენა) და წებო-ცემენტის საწარმოო ხაზი მდებარეობს ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის N188-ში, 8 829 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.01.003.288). GPS კოორდინატები: X-483022, Y-4625873; X-483073, Y-4625844; X-483017, Y-4625743; X-483004, Y-4625681; X-482978, Y-4625687; X-482994, Y-4625824. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 95 მეტრში მდებარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობები. საპროექტო ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია შპს „ნამი“; შპს „ჯოჯ“; შპს „თორნიკე“; შპს „ელმა 2008“; შპს „რედი“; შპს „ტოპ მოტორსი“; შპს „ავანგარდი“; შპს „ალთენი“; შპს „ჯი ეს სი“; შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილი ობიექტები. 200 და 350 მეტრის მანძილზე მდებარეობს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავები;

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის, საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ალტერნატივების შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის განცხადების თანახმად, პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმო მოიცავს **პოლისტიროლის ფილების დამამზადებელ და პოლისტიროლის ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზებს**, ასევე ობიექტის მიმდებარედ მოწყობილია **წებო-ცემენტის საამქრო** (არსებულ შენობა-ნაგებობაში).

ვინაიდან სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დგინდება რომ საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარები მოწყობილია, ინფორმაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პლასტიკური მასალის (პოლისტიროლის ფილების) წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს შესაბამისი ნედლეულის და დანამატების საწარმოო ტერიტორიაზე მიწოდებას, ექსტრუდერების, სტატიკური მიქსერის, კალიბრატორის, ფრეზატორის და სხვა დამხმარე ობიექტების მეშვეობით ნედლეულის დამუშავებას და საბოლოო პროდუქციის წარმოებას. პლასტიკური მასალის (პოლისტიროლის ფილების) წარმოების ტექნოლოგიური ხაზის შემადგენელი ძირითადი ელემენტებია: მასალის (პოლისტიროლის გრანულების) მიმღები 5 ავზი; ვაკუუმ ტუმბოები; ექსტრუდერის მიმღები ბუნკერები; მასალის დოზატორები; შემგროვებელი ბუნკერები; ექსტრუდერები (ორშენკიანი და ერთშენკიანი); ფილტრები; კალიბრატორი; მექანიკური დამუშავების დანადგარი; ლენტური და როლიკებიანი კონვეიერები; გარე სისტემებიდან: ნახშირორჟანგის მიწისზედა ავზი მოცულობით 20 მ<sup>3</sup>, იზობუტანის/თხევადი გაზის მიწისქვეშა ავზი 3 ცალი (თითოეული 9 მ<sup>3</sup>), ეთანოლის მიწისზედა რეზერვუარი (16 მ<sup>3</sup>) და წყლის გამაგრილებელი (დახურული ციკლის) სისტემა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიური ხაზზე გამოყენებული ნედლეული იქნება: პოლისტიროლის გრანულები (GPPS - ნაწილი შემოტანილი და ნაწილი ადგილზე ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზზე გადამუშავებული); საღებავი; ტალკი (აღნიშნული ტიპის ნედლეულები შემოტანილი იქნება 25 კგ ტომრების სახით); ნახშირორჟანგი, თხევადი გაზი და ეთანოლი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წინხილი პოლისტიროლის ფილების წარმოება წარმოადგენს უნარჩენო წარმოებას, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენი პოლისტიროლის გადამუშავებას და კვლავ პლასტიკური მასალის ტექნოლოგიურ ციკლში მიწოდებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, **ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის ტექნოლოგიურ ციკლში** გამოიყენება შემდეგი დანადგარები: ნარჩენი პოლისტიროლის შემგროვებელი საცავი/შემკრები ბუნკერი; დანებიანი მსხვრევანა (შრედერი); ექსტრუდერი; გრანულატორი; გამოსული მასის გამაგრილებელი წყლის ავზი/აბაზანა; მექანიკური დამუშავების დანადგარი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზზე გამოყენებულ ნედლეულს წარმოადგენს: პოლისტიროლის ფილების წარმოების შედეგად წარმოქმნილი

ნარჩენი პოლისტიროლი (12 01 05), მათ შორის წუნდებული პოლისტიროლის სახით. ნარჩენი პოლისტიროლი ტექნოლოგიური ხაზისთვის მიწოდებული იქნება პირდაპირ პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიური ხაზიდან. ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის შემდგომ მიღებული გრანულები დაუბრუნდება პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიურ ხაზს, შემდგომი დამუშავებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პოლისტიროლის ფილების წარმოებისა და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზები იმუშავებს წელიწადში 252 დღე, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით. პოლისტიროლის ფილების წარმოების ტექნოლოგიური ხაზი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში აწარმოებს 10 320 კგ, ხოლო წლის განმავლობაში (252 დღ x 10 320 კგ) - **2 600 640 კგ** პროდუქციას (წნეხილი პოლისტიროლის ფილა). რაც შეეხება ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზს, ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ხაზი აწარმოებს 2 400 კგ პროდუქციას (პოლისტიროლი გრანულები), ხოლო წლის განმავლობაში (252 დღ x 2 400 კგ) წარმოებული პროდუქცია შეადგენს დაახლოებით **604 800 კგ**.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია **წებო-ცემენტის საამქრო, რომლის წლიური წარმადობა შეადგენს 21600 ტონას**. წებო-ცემენტის წარმოებისთვის გამოიყენება: 15000 ტ/წელ ქვიშა; 6700 ტ/წელ ცემენტი; 180 ტ/წელ დანამატი. საამქრო წელიწადში გამოიყენებს 220 000 მ<sup>3</sup> მოცულობის ბუნებრივ აირს, 325 სამუშაო დღისა და 8 საათიანი სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება საწარმოო, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისთვის. საწარმოს წყლით მომარაგება ხდება მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება პოლისტიროლის წარმოების, ასევე ნარჩენი პოლისტიროლის აღდგენის ტექნოლოგიურ ხაზებზე გაგრილების (ბრუნვით) სისტემაში. საწარმოო წყლის არასახიფათოდ იდენტიფიცირების შემთხვევაში მისი ჩაშვება განხორციელდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში (შესაბამისი ხელშეკრულებისამებრ), ხოლო სახიფათოდ იდენტიფიცირების შემთხვევაში გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას. ტერიტორიის პერიმეტრზე მოწყობილია სანიაღვრე ქსელი, რომელიც დაკავშირებულია ქალაქის სანიაღვრე სისტემასთან. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს, რადგან ტექნოლოგიური ციკლი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, ასევე ეთანოლის და იზობუტანის რეზერვუარები განთავსებულია შესაბამისი შემოზვინვით, რაც შეეხება თხევადი გაზის რეზერვუარებს, განთავსებულია სარკოფაგში. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ობიექტზე წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები. ნარჩენების შეგროვება და მართვა გათვალისწინებულია კანონმდებლობის შესაბამისად. სახიფათო ნარჩენებიდან საწარმოო ობიექტზე

მოსალოდნელია წარმოიქმნას: ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული ფილტრები და ნარჩენი ზეთები, ტექნოლოგიურ ციკლში ექსტრუდერის გასაცხელებლად გამოყენებული ზეთები და ტრანსფორმატორის ზეთები. ობიექტზე შესაძლებელია ასევე წარმოიქმნას შერეული ტიპის სახიფათო ნარჩენები (კოდით: 15 02 02).

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესს თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების წარმოქმნა და ხმაურის გავრცელება. წარმოდგენილი ინფორმაციით, წნეხილი პოლისტიროლის ფილების და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფეროში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: პოლიმერული მტვერი; ეთანოლი; დიმეთილპროპანი; მეთილპროპანი; სტიროლი; ნახშირჟანგი. წებო-ცემენტის საწარმოდან: მტვერი, აზოტის ორჟანგი, ნახშირჟანგი. წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (95 მ) ზღვრულად დასაშვები ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. წარმოდგენილ ინფორმაციის თანახმად, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დეტალური გაანგარიშებები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს. საწარმო განთავსებულია ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ზონაში, სადაც ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები. საწარმოო ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ნამალადევის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა გაზეთში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 15 მაისს, ნამალადევის რაიონის გამგეობის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ნოვა ფიქსის“, ნამალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა საწარმოს მოსახლეობიდან დაშორების

მანძილს, წნეხილი პოლისტიროლის ფილებისა და წებო-ცემენტის უსაფრთხოების, მათ შორის ნარჩენების მართვის და ფილტრების წმენდის საკითხებს, რაზეც განმარტებები გააკეთა შპს „ნოვა ფიქსის“ წარმომადგენელმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

### **გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;**
2. **გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;**
- 2.1. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;**
3. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.**
4. **გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
  - საქმიანობის დეტალური აღწერა;
  - საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
  - დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
  - ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);

- საქმიანობის დეტალური აღწერა, პლასტიკური მასალის საწარმოო ობიექტისა (ნარჩენების აღდგენა) და წებო-ცემენტის საწარმოო ხაზის ტექნოლოგიური სქემის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქტის დამზადების ჩათვლით). ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ობიექტების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით;
- ინფორმაცია პლასტიკური მასალის საწარმოო ობიექტისა (ნარჩენების აღდგენა) და წებო-ცემენტის საწარმოო ხაზის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის კონკრეტული რაოდენობების შესახებ (წლიური, დღედამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილების და პირობების შესახებ. ასევე, მითითებული უნდა იქნეს იმპორტირებული ნედლეულის სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდები;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და დამზადებული პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამოდრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის დღედამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- დეტალური ინფორმაცია ჩამდინარე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო წყლების (დღედამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით), ასევე სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს სანიაღვრე ქსელის მესაკუთრესთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის (იჯარის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დეტალური ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტების შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია, ასევე საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;

**5. ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:**

- **ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:**
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი, თვისობრივი მონაცემები და გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით). აღნიშნული მონაცემები პროპორციულად ასახავს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მიზნით სწორი შეფასებას.
  - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით) ეფექტურობის დასაბუთებით;

- ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების დადგენის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე არსებული ობიექტების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები;
- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების დეტალური შეფასების მიზნით დაზუსტებული და გათვალისწინებული უნდა იყოს პოლისტიროლის ფილების წარმოების დანადგარებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა სახეობები;
- გზშ-ის ანგარიშს უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მონიტორინგის გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებათა ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების საკითხი და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან პერიოდული მონიტორინგის საკითხი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მეთოდის და სიხშირის მითითებით);
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის, ასევე წებო-ცემენტის საწარმოო ხაზის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, ასევე კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება;
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ნარჩენების წარმოქმნით, გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნარჩენების (კოდები, დასახლება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ;
- ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებსა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;



- საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებები ნედლეულის მიმღებ, საწარმოო და პროდუქციის დასაწყობების მოედანზე; გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

#### 6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, რაც სათანადოდ არ არის დასაბუთებული და გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას და დეტალურად შეფასებას;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ “საწარმოო წყლის არასახიფათოდ იდენტიფიცირების შემთხვევაში, მისი ჩაშვება განხორციელდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში, ხოლო სახიფათოდ იდენტიფიცირების შემთხვევაში, გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას”. წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია (შესაბამისი დასაბუთებით) ჩასატარებელი ლაბორატორიული კვლევებისა და მათი პერიოდულობის შესახებ, ან უნდა შემუშავდეს ჩამდინარე წყლების მართვის ალტერნატიული მეთოდი. ჩამდინარე წყლების საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ქსელის მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წებო-ცემენტის საამქროში გათვალისწინებულია 180 ტ/წელ დანამატის გამოყენება. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული დანამატის სახეობ(ებ)ის დასახელება და დანიშნულება.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

**დასკვნითი ნაწილი:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ნოვა ფიქსის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პლასტიკური მასალისა და ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.